საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/67

ქ. ბათუმი 16--ივლისი, 2020 წ.

ბსუ-სპროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 20 თებერვლის N01-10/22 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 05 ივნისის N01-10/61 ბრძანებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2020 წლის 15 ივნისის N466656 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 20 თებერვლის N01-10/22 ბრძანებაში მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. სპეციალისტი (ხარისხის მართვის კოორდინატორი):

ა) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოორდინაციას უწევს ცენტრის პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს;
ბ) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად მონიტორინგს უწევს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობას;
გ) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, ხელს უწყობს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას.
დ) მონიტორინგს უწევს პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესს;
ე) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად ახდენს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის პროცესში საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების იდენტიფიცირებას და მათ შეგროვებას;

ვ) დახმარებას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (vet.emis.ge; evet.emis.ge; tvet.emis.ge) სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანაში;
ზ) ახორციელებს კანონმდებლობით, ცენტრის დირექტორისა და ცენტრის მართვის მენეჯერის მიერ განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს."

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ა. მითაიშვილი